

ბენზოდიაზეპინები



დასახელება: ბენზოდიაზეპინები

ბენზოდიაზეპინების ჯგუფი: ალპრაზოლამი (ქსანაქსი), ღიაზეპამი (ვალიუმი), კლონაზეპამი და ა.შ.

ძირითადი ეფექტი ადამიანის ორგანიზმზე: ****დეპრესანტი

მოხმარების გზები: ორალურად, ინექციურად, ენის ქვეშ.

ბენზოდიაზეპინები ყველაზე ფართოდ გამოყენებული დამამშვიდებელი-საძილე საშუალებებია, რომლებიც იწვევს გვინში GABA ნეიროგრანსმიტერების დონის ზრდას. ბენზოდიაზეპინებს იყენებენ შფოთვითი და პანიკური აშლილობების მკურნალობის ხანმოკლე კურსის ჩასაგარებლად, ძილის პრობლემების მოსაგვარებლად, კუნთების სპაზმების, გულყრის საკონტროლოდ (მაგალითად, ეპილეფსიის დროს) და სხვა სასარგებლო ბემოქმედებისთვის. ამ ფსიქოტროპულ საშუალებებს შეუძლია ფიზიკური დამოკიდებულების გამოწვევა, ალკოჰოლის სიმთვრალისმაგვარი სურათის, გაურკვეველი მეტყველების და

მეხსიერების დაქვეითების გამოწვევა. ისინი უფრო მეტად მოკლე ვადით, განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე გრძელვადიანი მკურნალობისთვის. აღკვეთის სინდრომი შეიძლება იყოს სახიფათო და ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიშიც. ყველაზე გავრცელებული ბენზოდიამეპინებია: დიაზეპამი (ვალიუმი), ალპრაზოლამი (ქსანაქსი) და კლონაზეპამი (კლონოპინ).

ეფექტები

„ბენზოების“ მცირე დოზები ღრის მოკლე მონაკვეთში ეხმარება ათასობით ადამიანს დაძლიოს შფოთვა, ინსომნია და ალკოჰოლისგან გამოწვეული აღკვეთის სინდრომები, თუმცა ქრონიკულ მოხმარებას მიყვარათ სახიფათო შედეგებამდე.

ფსიქოლოგიური ეფექტები:

- ეიფორია
- სიამოვნების შეგრძნების განცდა
- მოღუნება
- ძილიანობა
- თაბრუსხვევა
- გაორმაგებული ხედვა
- მკაფიოდ საუბრის უუნარობა
- მეხსიერების და კოგნიტური დისფუნქცია
- სუიციდური ფიქრები
- ღებრესია
- გაღიზიანებალობა
- ბენზოდიამეპინების მოხმარებას ახასიათებს ფენომენი, რომელსაც ეძახიან „პარადოქსულ დისინჰიბიციას“. ეს ხასიათდება აგრესიულობით, იმპულსურობით, გაღიზიანებალობით, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ანგისოციალურ და ძალადობრივ ქცევამდე.

ფიზიკური ეფექტები

- დარღვეული კოორდინაცია

- გრემორი (კანკალი, უნებლიე რხევები)
- ღიარება
- ძალიან იშვიათად, თუმცა შეიძლება გამოიწვიოს ლიბიდოს დაქვეითება
- მენსტრუალური ციკლის დარღვევა ქალებში
- კანის და თვალების სიყვითლე
- კუნთების სისუსტე

დამოკიდებულების პროგნოზი: უსაფრთხოების მაღალი მიჯნის მიუხედავად, მაინც აქვს ადგილი გოლერანგობას, ალკეითის სიმპტომებს, ზელოზირებას და დამოკიდებულებას. ბენზოდიაზეპინები ცნობილია მათ ეფექტებზე გოლერანგობის სწრაფი განვითარების პროგნოზით. მათმა ყოველდღიურმა ან თუნდაც კვირაში რამდენჯერმე მოხმარებამ შესაძლოა, გამოიწვიოს სასურველი ეფექტის მისაღებად ღოზის გაზრდის მოთხოვნა. ბენზოდიაზეპინების რეგულარულმა მოხმარებამ შესაძლოა, მიგვიყვანოს ფიზიკური დამოკიდებულების განვითარებამდე.

რისკები

ბენზოდიაზეპინების ღოზის რაოდენობის შემცირებამ ან მოხმარების შეწყვეტამ შესაძლოა გამოიწვიოს:

- მძიმე შფოთვა
- პანიკური შეტევა
- ინსომნია
- დისფორია (ძალიან ცუდ გუნება-განწყობილებაზე ყოფნა);

ბენზოდიაზეპინების ქრონიკული მოხმარების შეწყვეტა ღოზის შემცირების გარეშე იწვევს ძალიან სახიფათო ფიზიკურ გართულებებს:

- კრუნჩხვები;
- ფსიქოტური ქცევა (მაგ. ჰალუცინაცია, ბოღვა, დემორგანიზებული აზროვნება (მეცხველება), პათოლოგიური მოგორული ქცევა, ნეგატიური სიმპტომატიკა).
- სიკვდილი.

ბენზოლიამბეპინები იწვევს მეხსიერების კოდირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. შესაძლოა, გამოწვიოს ანგეროგრაული ამნემია (ახალი ინფორმაციის კოდირება მეხსიერებაში არ ხდება და იკარგება). მეხსიერება ხდება დაბინდული, არასანდო და დროის გარკვეული პასაჟების გახსენება რთულდება. მათი მაღალი დოზა, ალკოჰოლთან ან სხვა სედაციურ საშუალებასთან ერთად მოხმარება, ბენზოლიამბეპინის ტიპი და ინდივიდუალური მგრძობილობა განაპირობებს რამდენად მწვავე იქნება ამნემია. ოპიოიდებთან ბენზოლიამბეპინების მოხმარება მრდის ზელოზირების რისკს.

რისკის შემცირება

- სახიფათოა ბენზოლიამბეპინების დიდი დოზით მოხმარება ოპიოიდების, სტიმულატორების, კანაფის ან ალკოჰოლის დიდი დოზით მოხმარებასთან ერთად, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს სიკვდილს.
- ერიდე დოზის გაზრდას! ბენზოლიამბეპინებთან ასოცირებული ძირითადი პრობლემები გამოწვეულია დოზის და სიხშირის ცვლილებით.
- არ გაზარდოთ დოზა ექიმთან კონსულტაციის გარეშე!
- არ მოიხმაროთ ბენზოლიამბეპინები ხანგრძლივად. საჭიროების შემთხვევაში ექიმმა უნდა შეგირჩიოთ სხვა (ალტერნატიული) მედიკამენტი.
- ბენზოლიამბეპინები იწვევს მახსოვრობის აბნევას და დაბინდვას, ამიტომ შესაძლოა არ გახსოვდეთ ახლახანს მიღებული დოზა.

ზელოზირების შემთხვევის მართვა

ბენზოლიამბეპინებით გამოწვეულ ზელოზირებას ადგილი აქვს თუკი მისი მიღება ხდება სხვა სედაციურ საშუალებასთან ერთად, მაგალითად ალკოჰოლთან ან რეკომენდებულზე მეტი დოზის მიღების შემთხვევაში.

ზელოზირების ზოგადი ნიშნებია:

- შენელებული სუნთქვა;
- გალურჯებული თითები და ტუჩები;
- დაბნეულობა და დიმორიენგაცია;
- თავბრუსხვევა;
- გაორმაგებული ან დაბინდული მზერა;
- სისუსტე;

- კუნთების არაკოორდინირებული მოძრაობა;
- ტრემორი.

წყარო: „ალტერნატივა ჯორჯია“.